



ქ. დედოფლისწყარო

29.09.2016 წელი

ქ. დედოფლისწყარო,

მ. კოსტავას ქ. № 44

ტელ. 0356 22 25 03

www.dedoplistskaro.ge

ელ.ფოსტა: dedoplistskaro_region@yahoo.com

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის ბრძანება № 599

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რიგი მოქალაქეებისათვის ყოველთვიური მოხმარებული ელექტროენერჯისა და 2016 წლის (ზამთრის თვეებში) XII თვეში ბუნებრივი აირის ან ელექტროენერჯის ღირებულების დასაფარად 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიური ფულადი დახმარების დანიშნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 62 მუხლის მე-2 პუნქტის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 თებერვლის №4 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ რიგ მოქალაქეებს დაენიშნოთ ყოველთვიური მოხმარებული ელექტროენერჯისა და 2016 წლის (ზამთრის თვეებში) XII თვეში 20 (ოცი) ლარი ბუნებრივი აირის ან ელექტროენერჯის ღირებულების დასაფარად ფულადი დახმარება 2016 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დანართის შესაბამისად დამატებითი ხარჯების უზრუნველსაყოფად. დანართი (სია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისა, რომელთაც დაენიშნათ 2016 წლის 1 სექტემბრიდან ყოველთვიური ფულადი დახმარება მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების დასაფარად და 2016 წლის (ზამთრის თვეებში) XII თვეში ბუნებრივი აირის ან ელექტროენერჯის ღირებულების დასაფარად დამატებითი ხარჯების უზრუნველსაყოფად) თან ერთვის.

2. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება მუნიციპალიტეტის გამგებელთან (დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. №44) და შემდგომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №2) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოლომონ ღორაშვილი
გამგებლის პირველი მოადგილე

